საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში 2018 წელს

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #107/ 14.12.2018

საერთაშორისო რეიტინგებში დაკავებული პოზიციები მნიშვნელოვანი ინდიკატორია ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე პროცესების შესაფასებლად. მოცემულ ბიულეტენში მიმოვიხილავთ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციებს 2018 წელს და მათ დინამიკას ბოლო მონაცემებზე დაყრდნობით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი



გრაფიკი 1: საქართველოს პოზიცია "გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის" ანგარიშების მიხედვით (2010-2018)

საქართველომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის[1]" 2018 წლის რეიტინგში 140 ქვეყანას შორის 66-ე პოზიცია დაიკავა.

2010 წლიდან, 2018 წლის ჩათვლით, ერთი წლის გამოკლებით, საქართველოს პოზიციები „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში" უმჯობესდებოდა. 2018 წელს კი 2017 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია 1 ადგილით გაუმჯობესდა.

2018 წელს საქართველოს "გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის" შეფასების ინდიკატორებს შორის ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ინდიკატორში უკავია (31-ე ადგილი), ყველაზე ცუდი-ბაზრის მოცულობის ინდიკატორში (102-ე ადგილი).

ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს[2] შორის აღნიშნულ ინდექსში 2018 წელს ყაზახეთი ლიდერობს (59-ე ადგილი), ხოლო ყველაზე ცუდი პოზიცია ინდექსში ტაჯიკეთს უკავია (102-ე ადგილი).

ბიზნესის კეთების სიმარტივე

საქართველომ მსოფლიო ბანკის "ბიზნესის კეთების სიმარტივის[3]" 2019 წლის რეიტინგში 190 ქვეყანას შორის მე-6 პოზიცია დაიკავა.

საქართველოს პოზიცია ინდექსში 2016 წლიდან უმჯობესდება. 2019 წლის ინდექსში, 2018 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია რეიტინგში 3 ადგილით გაუმჯობესდა.

2019 წლის საქართველოს "ბიზნესის კეთების სიმარტივის" რეიტინგში ყველაზე კარგი პოზიცია ბიზნესის დაწყების ინდიკატორში უკავია (მე-2 ადგილი), ყველაზე ცუდი-გადახდისუუნარობის შეფასების ინდიკატორში (მე-60 ადგილი).

ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის 2019 წლის "ბიზნესის კეთების სიმარტივის" ინდექსში საქართველო ლიდერია (მე-6 ადგილი), აღნიშნულ ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდი პოზიცია ინდექსში ტაჯიკეთს უკავია (126-ე ადგილი)[4].



გრაფიკი 2: საქართველოს პოზიცია "ბიზნესის კეთების სიმარტივის" ანგარიშების მიხედვით (2010-2019)

გლობალური ინოვაციების ინდექსი



გრაფიკი 3: საქართველოს პოზიცია „გლობალური ინოვაციების ინდექსის" ანგარიშების მიხედვით (2010-2018)

2018 წლის „გლობალური ინოვაციების ინდექსში[5]" საქართველომ 59-ე ადგილი დაიკავა 126 ქვეყანას შორის.

2014-2016 წლებში საქართველოს რეიტინგი „გლობალური ინოვაციების ინდექსში" უმჯობესდებოდა, ხოლო 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია 4 ადგილით გაუარესდა. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია აღნიშნულ რეიტინგში 9 ადგილით გაუმჯობესდა, რაც ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოსთვის საუკეთესო მაჩვენებელია.

2018 წელს საქართველოს "გლობალური ინოვაციების ინდექსის" შეფასების ინდიკატორებს შორის ყველაზე კარგი პოზიცია ინსტიტუტების და ბაზრის განვითარების ინდიკატორში უკავია (39-ე ადგილი), ყველაზე ცუდი-ბიზნესის განვითარების ინდიკატორში (91-ე ადგილი).

[1]მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი" შედგება 12 ძირითადი ინდიკატორისგან, რომლებიც აერთიანებს 98 ქვეკომპონენტს.
[2]ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თუქრემენეთი. კონკურენტუნარიანობის ინდექსი არ მოიცავს თურქმენეთს.
[3]მსოფლიო ბანკის "ბიზნესის კეთების სიმარტივე" შედგება 10 ძირითადი ინდიკატორისგან, რომლებიც აერთიანებს 49 ქვეკომპონენტს. 2019 წლის ინდექსი გამოქვეყნდა 2018 წელს.
[4] ინდექსი "ბიზნესის კეთების სიმარტივე" არ მოიცავს თურქმენეთს.
[5]გლობალური ინოვაციების ინდექსი ქვეყნდება კორნელის უნივერსიტეტის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) და INSEAD (the business school for the world) თანაავტორობით. ინდექსი შედგება 7 ინდიკატორისგან, რომლებიც აერთიანებს 80 ქვეკომპონენტს.
[6]გლობალური ინოვაციების ინდექსი არ მოიცავს თურქმენეთს და უზბეკეთს.

ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის "გლობალური ინოვაციების ინდექსში" 2018 წელს საქართველო ლიდერობს (59-ე ადგილი), ყველაზე ცუდი პოზიცია ინდექსში ტაჯიკეთს უკავია (104-ე ადგილი)[6].

ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი



გრაფიკი 4: საქართველოს პოზიცია „ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსის" ანგარიშების მიხედვით (2010, 2012, 2014, 2016, 2018)

მსოფლიო ბანკის 2018 წლის „ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსში[7]" საქართველომ 160 ქვეყანას შორის 119-ე ადგილი დაიკავა (2.44 ქულა). საქართველოს შედეგი 2018 წელს, 2016 წელთან შედარებით, 11 ადგილით გაუმჯობესდა.

2018 წელს საქართველოს "ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსის" შეფასების ინდიკატორებს შორის ყველაზე კარგი პოზიცია საბაჟო და სასაზღვრო გაფორმების ეფექტიანობის ინდიკატორში უკავია (95-ე ადგილი), ყველაზე ცუდი- გზავნილებზე თვალყურის დევნების და კვალდაკვალ მიყოლის შესაძლებლობა (139-ე ადგილი).

ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის "ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსში" 2018 წლის რეპორტის მიხედვით ყაზახეთი ლიდერობს (71-ე ადგილი), ყველაზე ცუდი პოზიცია ინდექსში ტაჯიკეთს უკავია (134-ე ადგილი)[8].

ადამიანური კაპიტალის ინდექსი

2018 წელს, მსოფლიო ბანკის "ადამიანური კაპიტალის ინდექსში[9]" საქართველომ 61-ე ადგილი დაიკავა 157 ქვეყანას შორის.

საქართველომ აღნიშნულ ინდექსში 0.61 ქულა აიღო, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში 2018 წელს დაბადებული ბავშვი, ზრდასრულ ასაკში, სრული განათლების და სრულყოფილი ჯანმრთელობის შემთხვევაში, თავისი შესაძლო პროდუქტიულობის 61%-ს მიაღწევს.

ადამიანური კაპიტალის ინდექსი მოიცავს სამ კომპონენტს, რომელიც აერთიანებს 5 ინდიკატორს.

ქვეყანა	5 წლის ასაკს მიღწევის ალბათობა (%)	სასკოლო განათლების წლების რაოდენობა	ჰარმონიზებული ტესტური შეფასების ქულები	ჯანსაღი განვითარება (შეფერხების გარეშე) (%)	ხანდაზმული ასაკის მიღწევის მაჩვენებელი (%)	ინდექსი
ყაზახეთი	99	13.3	537	92	80	0.75
საქართველო	98.9	12.5	445	89	85	0.61
აზერბაიჯანი	97.6	11.6	472	82	87	0.60
ყირგიზეთი	98	12.6	420	87	82	0.58
სომხეთი	98.7	11.1	443	91	88	0.57
ტაჯიკეთი	96.6	10.8	446	73	87	0.53

ცხრილი 1: ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედეგები „ადამიანური კაპიტალის ინდექსის" 2018 წლის ანგარიშის მიხედვით

კომპონენტი 1: გადარჩენა
5 წლის ასაკს მიღწევის ალბათობა: საქართველოში 100 ბავშვიდან 98.9% აღწევს 5 წლის ასაკს. ამ მხრივ საქართველო ინდექსში 63-ე ადგილს იკავებს.
კომპონენტი 2: სკოლა
სასკოლო განათლების წლების რაოდენობა: საქართველოში ბავშვი, რომელიც სწავლას დაიწყებს 4 წლის ასაკში, თავის მე-18 დაბადების დღისთვის საშუალო სკოლის 12.5 წელს დაასრულებს. ამ მაჩვენებლით საქართველო ინდექსში 63-ე ადგილს იკავებს.

ჰარმონიზებული ტესტური შეფასების ქულები: 625 ქულიდან საქართველოში მოსწავლეები იღებენ 445 ქულას. აღნიშნული ინდიკატორით საქართველო ინდექსში 61-ე ადგილს იკავებს.
კომპონენტი 3: ჯანმრთელობა
ჯანსაღი განვითარება (შეფერხების გარეშე): საქართველოში 100 ბავშვიდან 89 შეფერხების გარეშე ვითარდება.
ხანდაზმული ასაკის მიღწევის მაჩვენებელი: საქართველოში, 15 წლის ასაკის ბავშვების 85% მიაღწევს 60 წლის ასაკს. აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით საქართველო ინდექსში 90-ე ადგილზეა.

ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის "ადამიანური კაპიტალის ინდექსში" 2018 წლის რეპორტის მიხედვით ყაზახეთი ლიდერობს (31-ე ადგილი), ყველაზე ცუდი პოზიცია ინდექსში ტაჯიკეთს უკავია (89-ე ადგილი)[10].

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2013	2014	2015	2016	2017	2018 I	2018 II
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16139.9	16507.8	13988.1	14377.9	15086.5	3651.6*	4155.8*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4341.4	4438.3	3754.9	3857.3	4046.8	979.1*	1114.3*
მშპ-ს რეალური ზრდა	3.4%	4.6%	2.9%	2.8%	4.8%	5.2%	5.6%
ინფლაცია	-0.5%	3.1%	4.0%	2.1%	6%		
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1020.5	1817.7	1665.6	1565.8	1894.5	287*	389.1*
უმუშევრობის დონე	16.9%	14.6%	14.1%	14%	13.9%		
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	3607	3997	4315	4515	5177	5298	5186
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.5%	21.4%	20.2%	21%	22.3%		

[7]მსოფლიო ბანკის „ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი" ქვეყნდება 2 წელიწადში ერთხელ. ბოლო ანგარიში გამოქვეყნდა 2018 წელს. ინდექსი მოიცავს შეფასების 6 ინდიკატორს.
[8]მსოფლიო ბანკის "ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი" არ მოიცავს აზერბაიჯანს.
[9]მსოფლიო ბანკის „ადამიანური კაპიტალის ინდექსი" პირველად 2018 წელს გამოქვეყნდა.
[10]მსოფლიო ბანკის "ადამიანური კაპიტალის ინდექსი" არ მოიცავს თურქმენეთს და უბბეკეთს.
* წინასწარი მონაცემები